პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 61 (9152)
29 მარტი,
შაბათი,
1986 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

ევროპის ჩემპიონატიც მოახლოვდა

- ახლახან პოტსდამში გაიმართა ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში საბჭოთა ფალავნებმა ორი ოქროს, ერთი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ორივე გამარჯვებული ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელია: 78 კგ წონაში უძლიერესი იყო თბილისელი ლერი ნაკანი, ქვემძიმეში — გორელი კობა კურტანიძე.

პოტსდამში საბჭოთა გუნდს მწვრთნელად ახლდა საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი დილარ ხაბულიანი. აი, რა თქვა მან ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში:

ლერი ნაკანი

კობა კურტანიძე

— **პოტსდამში** ყოველწლიურად ტარდება ძიუდოისტთა წარმომადგენლობითი შეჯიბრება. წლევანდელი ტურნირი რიგით მეთვრამეტე იყო. ამჯერად პოტსდამში იაპონელთა გარდა მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერესი ძიუდოისტი ასპარეზობდა. სულ ჩვიდმეტმა ქვეყანამ გამოგზავნა გუნდი, მათ შორის საფრანგეთმა, ინგლისმა, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ, ავსტრიამ, ბრაზილიამ, კანადამ... ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში შვიდი სპორტსმენი იყო: თბილისის ტურნირის მეორე პრიზიორი, ბრეჟნეველი იგორ შკარინი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თბილისის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ლერი ნაკანი (78 კგ), ამავე წონაში იჭიდავა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, პერმელმა ვლადიმერ შესტაკოვმა, ქვემძიმეში — ქვეყნის ჩემპიონმა და თბილისის ტურნირში გამარჯვებულმა კობა კურტანიძემ. სამი გამოცდილი სპორტსმენი გვყავდა მძიმე წონაში: მალხაზ ბერუაშვილი, ალექსანდრე შუროვი და ხაბილ ბიქტაშევი (სამწუხაროდ, შოთა ხაბარელი ავად გახდა და ტურნირზე ვერ გაემგზავრა).

● **ნაკანმა 78 კილოგრამ წონაში გადაინაცვლა, თუ...**

— ლერი 71 კგ წონის მოჭიდავეა და დღეისთვის ქვეყნის ნაკრებში ლიდერის პოზიცია უჭირავს. მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით მას საშუალება მიეცა უფრო მაღალ წონაში მოესინჯა ძალა, ისე კი, ევროპის მომავალ ჩემპიონატზე თავის წონაში გამოვა. საერთოდ, ამ ტურნირზე სწორედ ევროპის ჩემპიონატისთვის კანდიდატების გამოცდას ვისახავდით მიზნად. პოტსდამში, მაგალითად, ამიტომ გაემგზავრა სამი მძიმე წონის მოჭიდავე.

● **ტურნირის შედეგებით ალბათ კმაყოფილი იქნებით...**

— ბიჭებს ურიგოდ არ უჭიდავიათ, სხვათა შორის, ასე ფიქრობს საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობაც. ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ კარგად გამოვიდნენ ქართველი მოჭიდავეები. მაგალითად, ლერი ნაკანმა ოთხივე წინასწარი შეხვედრა წმინდად მოიგო, ფინალში კი იუკოთი აჯობა გამოცდილ შესტაკოვს (არადა, ნაკრებში ხაბარელს სწორედ შესტაკოვი უწევს კონკურენციას). ნაკანი ახლა ჩინებულ სპორტულ ფორმაშია — ერთი წელიწადია შეჯიბრება არ წაუგია. იგივე შეიძლება ითქვას კობა კურტანიძეზე, რომელმაც, როგორც გახსოვთ, თბილისის წლევანდელ ტურნირზე ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვა. კობამ პოტსდამში აშკარად დაჯაბნა მეტოქეები. მან ფინალში გასასვლელი ბრძოლა მასპინძელთა გუნდის ლიდერს, მსოფლიოს 1983 წლის ჩემპიონს პრეშელს მოუგო, ფინალში კი ძლიერი ავსტრიელი სპორტსმენი — ნუსტერმანი დაამარცხა.

მძიმე წონაში, როგორც გითხარით, სამი ძიუდოისტი გამოვიყვანეთ. ნაკრებში ადგილი „დაჯავშნული" აქვს ჩელიაბინსკელ გრიგორ ვერიჩევს — ევროპის ჩემპიონატზე მძიმე წონაში ის დაიცავს საბჭოთა გუნდის ღირსებას, მაგრამ ჯერჯერობით გაურკვეველია, ვინ გამოვა აბსოლუტურ კატეგორიაში. ამ კითხვას ვერც პოტსდამის ტურნირმა გასცა პასუხი. საქმე ის არის, რომ ბერუაშვილმა და ბიქტაშევმა ერთნაირი შედეგი აჩვენეს — ორივემ ბრინჯაოს მედალი მიიღო... მალხაზი პირველივე წრეში დამარცხდა მასპინძელთა გუნდის წევრთან. არადა, ამ შეხვედრას სამი იუკოთი იგებდა, სულ ბოლო წამებზე ყურადღება მოადუნა და... დამამშვიდებელ ჯგუფში ბერუაშვილმა ყველა მეტოქეს წმინდად მოუგო. ბიქტაშევმა მესამე ადგილისთვის შუროვს სძლია. მესამე ადგილი დაიკავა იგორ შკარინმაც.

● **ამასობაში ევროპის ჩემპიონატიც მოახლოვდა...**

— ევროპის პირველობა ბელგრადში რვა მაისს დაიწყება. მანამდე საკავშირო ნაკრებს კისლოვოდსკსა და პოდოლსკში ორი საწვრთნელი შეკრება აქვს დაგეგმილი. ჯერჯერობით ის შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე ნაკანისა და კურტანიძის მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს, ვიმედოვნებთ, რომ გუნდში ხაბარელი და ბერუაშვილიც მოხვდებიან. ყველაფერი საკონტროლო შეხვედრებში გადაწყდება.

ესაუბრა **ელგუჯა ბერიშვილი.**

ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო პირველობა

მწვრთნელს ალბათ აზრი შეეცვალა

კიროვის სახელობის პარკში მდებარე კალათბურთის დარბაზში ჭაბუკთა საკავშირო პირველობა გრძელდება. უნდა ითქვას, რომ მაყურებელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დაინტერესებული პირი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ედუარდ მილნერი გახლავთ. დიახ, გვყავს 14-15 წლის სპორტსმენთა საკავშირო ნაკრებიც, რომელიც პერიოდულად მონაწილეობს საერთაშორისო შეჯიბრებებში, კერძოდ, ევროპის ჩემპიონატში. ასე რომ, თბილისში გამართულმა შეჯიბრებამ არა მარტო ქვეყნის უძლიერესი ჭაბუკთა გუნდი უნდა გამოავლინოს, არამედ უძლიერესი მოთამაშეების — ნაკრების კანდიდატების არჩევაშიც უნდა დაეხმაროს მოსკოველ სპეციალისტს. მილნერს ჯერჯერობით ყველაზე მეტად რსფსრ-ის ნაკრები მოსწონს...

— ამ გუნდს ძალზე აქტიური დაცვა ჰყავს — თქვა მან. — ამასთან იგი თანამედროვე სწრაფ კალათბურთს თამაშობს და ამ დროს მოთამაშეები, რაც მთავარია, ტექნიკას „არ კარგავენ". თქვენი ჭაბუკები აქამდე არ მენახა. გუნდი ურიგოდ როდი თამაშობს დაცვაში, მაგრამ, ჩემი აზრით, თავდამსხმელებს ქართული კალათბურთის დამახასიათებელი სისწრაფე და ცეცხლი აკლიათ...

ეს მოსაზრება ედუარდ მილნერმა ჩვენი გუნდის მიერ ჩატარებული პირველი მატჩის შემდეგ გამოთქვა. მეორე თამაშის ნახვის შემდეგ კი, დარწმუნებული ვართ, აზრი შეეცვლებოდა. საქმე იმაშია, რომ საქართველოს ნაკრები გაცილებით უკეთესად ეთამაშა უკრაინელთა გუნდს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ჩვენი ბიჭები ჭაბუკური აზარტით, სწრაფად და თავისუფლად თამაშობდნენ და მე-15 წუთისთვის უკვე 21 ქულით დაწინაურდნენ — 42:21. შედეგიანად უტევდა მეტოქის ფარს შალვა ცხვედიანი, რომელმაც პირველ ტაიმში გუნდს 16 ქულა შესძინა. შორი მანძილიდან ზუსტად გზავნიდა ბურთს კალათში გიორგი ქართველიშვილი, თამაშში კარგად ჩაერთო ჩვენი ცენტრის მოთამაშე გოდერძი კორძაძე, რომელსაც პირველ მატჩში არ უთამაშია. სამწუხაროდ, ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა 21-ქულიანი უპირატესობა ჭაბუკური უდარდელობითვე გაფლანგეს, ჩვენების რამდენიმე არაზუსტი სროლა და უკრაინის გუნდს საშუალება მიეცა საგრძნობლად შეემცირებინა სხვაობა ანგარიშში — 54:49. მეორე ტაიმში, მე-4 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა—59:59. კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ჭაბუკებით დაკომპლექტებული უკრაინის გუნდი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა — მოედანზე მატჩის დამთავრებამდე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ თამაშის მიწურულს ქართველმა ჭაბუკებმა გაცილებით უკეთ, საიმედოდ ითამაშეს და მეორე გამარჯვებაც მოიპოვეს — 91:86. აქვე უნდა ითქვას, რომ როდესაც ჩვენი გუნდი ტემპს უმატებდა, აშკარად ჩაგრავდა მეტოქეს, პოზიციურ თამაშში კი მას ეს უპირატესობა ეკარგებოდა. უკრაინელებთან მატჩში მასპინძელთაგან ყველაზე შედეგიანი ისევ შალვა ცხვედიანი იყო — 28 ქულა, სტუმართაგან — სტანისლავ მოსკალენკო (20).

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: ლიტვა — მოსკოვი — 65:62 (28:34); რსფსრ — მოლდავეთი — 95:85 (45:45).

III ტურის მატჩები ასე დამთავრდა: მოსკოვი — მოლდავეთი — 80:79 (46:37); უკრაინა — რსფსრ — 78:112 (34:57); საქართველო — ლიტვა — 89:85 (37:42).

ელვა-ინფორმაცია

ბრატსკში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ციგაობაში 1968-1969 წლებში დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის.

ორადგილიანი ციგებით ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკიდან საუკეთესო იყო ბადრი ჯანგობეგოვისა და ზაქრო კურტანიძის ეკიპაჟი. არმიელმა სპორტსმენებმა შედეგით 72.617 წამი მესამე ადგილი დაიკავეს. ლევან თიბილოვი და კახი ვახტანგიშვილი მეექვსე ადგილზე გავიდნენ — 72.806.

ერთადგილიანი ციგებით ჩვენს სპორტსმენთაგან ყველაზე კარგად ლევან თიბილოვმა იასპარეზა — მან მეთორმეტე ადგილი დაიკავა (143.520 წამი ოთხი ცდის ჯამში).

თეიმურაზ აფხაზავა — გამარჯვებულთა შორის

ფრეიბურგი (გფრ). „გფრ-ის დიდმა პრიზმა" კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს თითქმის ყველა უძლიერეს ათლეტს მოუყარა თავი. მით უფრო საპატიოა საბჭოთა სპორტსმენების წარმატება, რომლებმაც ორთავე სახეობაში გუნდური პირველობა მოიპოვეს.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა ტურნირში ჩვენი გუნდი რვა კაცით იყო წარმოდგენილი. მათგან შვიდი საპრიზო ადგილებზე გავიდა. გაიმარჯვეს: სერგეი დიუდაევმა (ნოვოჩერკასკი, 52 კგ), ოჰანეს არუთინიანმა (მინსკი, 57 კგ), ასლაუდინ აბაევმა (გროზნო, 68 კგ), მიხეილ მამიაშვილმა (მოსკოვი, 74 კგ) და თეიმურაზ აფხაზავამ (ქუთაისი, 82 კგ).

თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის ნაკრებში ექვსი ათლეტი გამოდიოდა და ექვსივემ მედალი მიიღო. პირველი ადგილები დაიკავეს: სერგეი კორნილაევმა (მოსკოვი, 48 კგ), ეგია მუსოიანი (სოხუმი, 57 კგ), ვიქტორ კრეიდიჩმა (მინსკი, 68 კგ) და ტარამ მაგომადოვმა (მოსკოვის ოლქი, 74 კგ).

გადამწყვეტი ტურის მოლოდინში

დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტური.

კაუნასი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხელბურთელებმა ბოლო მატჩიც წააგეს — ამჯერად ისინი მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს 31:20. ჩელიაბინსკის „პოლიოტმა" „კუნცევოს" აჯობა—35:24, ადგილობრივი „გრანიტასისა" და კრასნოდარის სკიფ-ის შეხვედრა კი ფრედ — 28:28 დამთავრდა.

მინსკი. ამ ჯგუფის ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: ასკ (მინსკი) — ასკ (კიევი) 28:24, ზიი (ზაპოროჟიე) — „ზარია" (ასტრახანი) 20:17, მაი (მოსკოვი) — „ნევა" (ლენინგრადი) 28:28.

მეორე წრის მეორე ტური ზაპოროჟიეში (აპრილი) გაიმართება. სწორედ აქ გამოვლინდება ის ექვსეული, რომელიც შემდგომში საპრიზო ადგილებისთვის გააგრძელებს ბრძოლას. მეორე ექვსეულის აუტსაიდერი კი უმაღლეს ლიგას გამოეთხოვება.

ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

პირველი მედლები

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ჭაბუკ ფალავანთა შეჯიბრებები არც თუ ისე ხშირად ეწყობა. ამიერიდან ერთი ასეთი შეჯიბრების მასპინძელი ჩვენი რესპუბლიკაც იქნება. მოზრდილთა ტრადიციულ ტურნირთან ერთად თბილისში ყოველწლიურად ჩატარდება ჭაბუკთა საერთაშორისო ასპარეზობა სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ კიკნაძის სახელობის პრიზზე.

პირველმა საერთაშორისო ტურნირმა გუშინ აიღო სტარტი თბილისის სპორტის სასახლეში. შეჯიბრება სამ დღეს გასტანს, ტატამზე გამოვა 8 ქვეყნის 150-მდე ჭაბუკი ძიუდოისტი, მათ შორის 43 უცხოელი სპორტსმენი. მონაწილეთა შორის არიან გდრ-ის, უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, იტალიის, სსრ კავშირის („დინამოს“ ცენტრალური საბჭოსა და პროფკავშირთა საკავშირო ნაკრები) კოლექტივები. ცალკე გუნდად ასპარეზობს საქართველოს ნაკრები, რომლის შემადგენლობაში 40 სპორტსმენია.

პირველ დღეს შეჯიბრებაში ჩაებნენ 75, 83 და მძიმე წონითი კატეგორიის მოჭიდავეები. დილით გაიმართა წინასწარი შეხვედრები, საღამოს კი, ტურნირის საზეიმო გახსნის შემდეგ, ნახევარფინალები და ფინალები მოეწყო.

ტურნირის პირველი ოქროს მედლები მოიპოვეს მესტიელმა **ოლეგ რატიანმა** (75 კგ), ახმეტელმა **დავით ბაგაურმა** (83) და ტაშკენტელმა **მაგომედ შადიევმა** (+ 83).

ვერცხლის მედლები გადაეცათ საგარეჯოელ **ალექსი მირზაშვილს** (83) და ქარელელ **ზაზა დაბრუნდაშვილს** (+83), ბრინჯაოსი — **კობა თათარაშვილს** (საგარეჯო, 75), **ალექსი ძავაშვილს** (დუშეთი, 83) და **დავით ხაბალეიშვილს** (ქუთაისი, +83).



ელიზბარ უბილავა საქართველოს ჩემპიონია

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) დასკვნითი, XIII ტური გაიმართა. უბილავამ მოუგო თორიას, ეფიმოვმა — ჩიქოვანს, იოსელიანმა — ბოკუჩავას. ყაიმზე შეთანხმდნენ ჭიპაშვილი — ხუპატაშვილი, ტყებუჩავა — კრასენკოვი. გიორგაძე — ბაღათუროვის პარტია გადაიდო.

ამრიგად, 9 ქულით I ადგილი დაიკავა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ელიზბარ უბილავამ. 8,5 ქულით II ადგილზეა მიხეილ კრასენკოვი; მესამე პრიზიორს გამოავლენს გია გიორგაძისა და გია ბაღათუროვის გადადებული პარტია, რომელიც დღეს დამთავრდება.

დღეს, 29 მარტს, 16 საათზე, ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურება.

ასწავლის, გარი კასპაროვი

მოსკოვში მუშაობა განაახლა მსოფლიოს ექსჩემპიონის მიხეილ ბოტვინიკის სახელგანთქმულმა საჭადრაკო სკოლამ. ღვაწლმოსილ დიდოსტატს ამ საქმეში ეხმარება მისი მოწაფე მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი.

ამ დღეებში სკოლის აღსაზრდელები მოსკოვში ჩავიდნენ პირველ მეცადინეობაზე დასასწრებლად. მათ შორის არიან საქართველოს წარგზავნილებიც — ოსტატობის კანდიდატები ნათია ჯანჯღავა და აკაკი იაშვილი. ნორჩ მოჭადრაკეებს პირველი გაკვეთილები გარი კასპაროვმა ჩაუტარა.

ჩემპიონი არ შეცვლილა

რუმინეთის ქალაქ ბეილე ჰერკულანუმში დამთავრდა მოჭადრაკე გოგონათა ევროპის პირველობა. შეჯიბრებაში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა.

10-10 ქულით I-II ადგილები გაიყვეს საბჭოთა ოსტატმა სვეტლანა მატვეევამ (სსრ კავშირი, ფრუნზე) და საერთაშორისო ოსტატმა ილდიკო მადლმა (უნგრეთი), მაგრამ ჩემპიონის ტიტული მადლს მიეკუთვნა. შეჯიბრების დებულების მიხედვით ადგილების გაყოფის შემთხვევაში ჩემპიონის გამოსავლენად მხედველობაში მიიღება სხვა მაჩვენებლები. პირველ რიგში — მათი პირადი შეხვედრის შედეგი (მატვეევა — მადლის პარტია ყაიმით დამთავრდა), შემდეგ — კოეფიციენტთა ცხრილი და ა. შ. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი უნგრელ მოჭადრაკეს უკეთესი აღმოაჩნდა და იგი გამარჯვებულადაც ამიტომ გამოაცხადეს.

III ადგილი დაიკავა ქრისტინე ბადულესკუმ (რუმინეთი).

15 წლის ილდიკო მადლი შარშანაც ევროპის ჩემპიონი გახდა. გასულ ზამთარში კი 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის გამართულ მსოფლიო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა ქეთევან არახამიასა და ალისა მარიჩის (იუგოსლავია) შემდეგ.

„კოლმეურნე“, „განთიადი“, „ბურევესტნიკი“...

კასპის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რესპუბლიკის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო „კოლმეურნის“, „განთიადის“, „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, „შრომითი რეზერვების“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „ვოდნიკისა“ და „ზენიტის“ 150-მდე ათლეტმა.

კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს „კოლმეურნემ“, „განთიადმა“ და „ბურევესტნიკმა“. საპრიზო ადგილებიც სწორედ მათ გაინაწილეს. „კოლმეურნის“ ნაკრებ გუნდს 16 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა. იგი ყველა მონაცემით პირველი იყო. აი, „განთიადმა“ და „ბურევესტნიკმა“ კი 31-31 საჯარიმო ქულა მიიღეს. უპირატესობა მიენიჭა „განთიადს“, რომლის მოჭიდავეებსაც უკეთესი პირადი შედეგები აღმოაჩნდათ.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: რ. მელქუაშვილი („ბურევესტნიკი“), შ. ნატროშვილი, ზ. მაისურაძე (ორივე — „კოლმეურნე“), გ. ავაზნელი („განთიადი“), ჯ. ბერუაშვილი („კოლმეურნე“), ზ. გაზაგაშვილი („ბურევესტნიკი“), გ. მაზმიშვილი („განთიადი“), ა. მირზაშვილი, კ. თოთლაძე (ორივე — „კოლმეურნე“).

სიმონ მაისურაძე.

საბჭოთა კავშირის 23-ე ჩემპიონატი რეგბიში

გუშინწინ თბილისში დაიწყო უმაღლესი ლიგის რეგბისტთა 23-ე საკავშირო ჩემპიონატის ტური. „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ ორ მატჩს შორის შესვენებისას გაიმართა ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. მონაწილეებსა და მაყურებლებს მიესალმა საბჭოთა კავშირის რეგბის ფედერაციის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი, დამსახურებული მფრინავ-გამომცდელი, ავიაციის გენერალ-მაიორი ვლადიმერ ილიუშინი. ვეტერანმა თბილისელმა რეგბისტებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს ასპარეზობაში მონაწილე გუნდებს. დამსწრეთ თავიანთი ხელოვნება უჩვენეს თბილისელმა ნორჩებმა.

დამაჯერებელი სტარტი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 მარტი.

„მშენებელი“ (ქუთაისი) — „სოკოლი“ (ლვოვი) 22:11 (7:4).

„მშენებელი“: ობოლაძე, ტურძელაძე (გაბიძაშვილი), ჩიტაიანი (ოდიშარია), წივწივაძე, ლილუაშვილი, შვანგირაძე, გრიგალავა, ნაჭყებია, შავგულიძე, გიორგობიანი, ჟორჟოლიანი, ნემსიწვერიძე, ლიპარტელიანი, ხუჭუა, მარიამიძე.

„სოკოლი“: სტადნიცკი, იანკოვსკი, ტერენტიევი, ბაიჩიშინი (შერბა), კოჟუხოვი, კაზაკი (შერემეტი), ჩორნი, გრაბოვსკი, ბუნდზი, სუტიაგინი, იგნატენკო, ბობიკი, დაცკო, კოსტრიკოვი, მახლოვი.

მსაჯი ვადიმ რაზდოვსკი (მოსკოვი).

გამოცდილი გუნდი ყველა მეტოქესთან შესაბამისი გეგმით თამაშობს. ქუთაისელმა რეგბისტებმა ლვოველთა წინააღმდეგ მწვავე კონტრშეტევებს მიმართეს. ყოველი ასეთი შეტევა ხიფათში აგდებდა უკრაინელთა ჩათვლის მოედანს.

სტატიკურ თამაშში ქუთაისელებს რომ ბადალი არა ჰყავთ, ეს „სოკოლის“ მოთამაშეებმა კარგად იციან. ამიტომ სწრაფად მოძრავი ოსტროვსკის მეთაურობით ცდილობდნენ ფლანგური შეტევების განხორციელებას. ასეთი შეტევები კი ხშირად მოედნის შუა ნაწილში მთავრდებოდა, სადაც „მშენებლის“ თავდასხმა აქტიურობდა.

პირველი ოთხქულიანი დამიწება, რომელმაც ნაჭყებიას საკმაოდ გრძელი რეიდი დააგვირგვინა, ქუთაისელებს შვანგირაძემ მოუტანა, ნაჭყებიას მიერ გატანილი საჯარიმოს შემდეგ ანგარიში შვიდამდე გაიზარდა, ამის შემდეგ ლილუაშვილმა კიდევ სამი ქულა შესძინა გუნდს.

სწორხაზობრივ გარღვევას მოულოდნელი ჯვარედინი გადაცემა მოჰყვა. ძალისმიერი ჯგუფური ორთაბრძოლა დამთავრდა იმით, რომ „მშენებელმა“ მთელი 10 მეტრით, საკუთარ ჩათვლის მოედნამდე ბიძგით ჩასწია „სოკოლის“ დაცვა. ნაჭყებიას არ გასჭირვებია ბურთის დამიწება. რეალიზაცია უნაკლოდ გამოიყენა ლილუაშვილმა.

ამის შემდეგ ჟორჟოლიანმა ძალზე ეფექტურად ფეხით გაიგდო ბურთი წინ, მერე წამოეწია, დაეუფლა, გვერდი აუარა მოწინააღმდეგის მცველს და ბურთი ლვოველთა „ქალაქის“ ცენტრალურ მონაკვეთში დადო. ნაჭყებიამ რეალიზაციის შესაძლებლობა აქაც გამოიყენა. ასე მოიპოვეს ქუთაისელებმა 22 ქულა.

პირველ ტაიმში დაცკო და მეორეში სუტიაგინი თითოჯერ „გაეპარათ“ ქართველ რეგბისტებს საკუთარ ჩათვლის მოედნზე, ხოლო თამაშის მიწურულს გუნდის კაპიტანმა იგორ დაცკომ ერთი სამქულიანი ჯარიმის გატანაც შეძლო — 22:11. ქუთაისელებმა პირველი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში ჩვენი რეგბისტები ხშირად ჯარიმდებოდნენ. ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ გუნდის ახალბედა და გამოცდილი სპორტსმენები ჯერ კიდევ ვერ თამაშობენ შეთანხმებულად. დიახ, ქუთაისელთა შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა რეგბისტმაც ითამაშა. მათ შორის უსათუოდ ქების ღირსია მცველი იგორ მარიამიძე, რომელიც სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებული დაბრუნდა გუნდში. რეგბიში, მოგეხსენებათ, ერთი მცველია (№ 15) და მის უშეცდომო თამაშზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

გაბრიელ გარჯაძე.

„მშენებლისა“ და „სოკოლის“ შეხვედრის ეპიზოდი.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

პირველი მარცხი, პირველი გაკვეთილი

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 27 მარტი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სლავა“ (მოსკოვი) — 8:18 (3:7)

„ლოკომოტივი“: მგელაძე; ნუკრი ხვედელიძე, შერაზადაშვილი, ჭეიშვილი, ალეკო ხვედელიძე; ხარშილაძე, გაბრიჭიძე; ჩიქვინიძე (ქერაშვილი), მჭედლიძე, ძიძაძე (ტყაბლაძე), ცხვარაძე (დიბრაძე), წერეთელი, ბახილაშვილი (მონიავა), ლუდუშაური, გიუნაშვილი.

„სლავა“: იგნატიევი; ბირიუკოვი (ბალონკინი), კალიტრატოვი, შიშკოვი, ბერზინი; ბარინოვი, დემიდოვი; მედვედი, ტიგიევი (გუხევი), სამარდინი, კონფეტოვი, სტრელნიკოვი, ფედორკოვი (კოლესნიკოვი), სოკოლოვი, ვალიალშჩიკოვი.

მსაჯი ანატოლი შევერევი (კიევი).

გოლები: „ლოკომოტივი“: ალეკო ხვედელიძე — საჯარიმო (8 წთ); „სლავა“: ფედორკოვი — დამიწება (7), ბერზინი — 3 საჯარიმო (39, 56, 82).

ჩემპიონატის პირველ მატჩში განცდილი მარცხი მუდამ გულსატკენია. მით უფრო ძნელად გადასატანია იგი ჩვენი გუნდისთვის, რომელსაც თავი არ დაუზოგავს, თამაშის არც ერთ კომპონენტში არ ჩამორჩენია „სლავას“.

„სლავამ“ „ლოკომოტივის“ ვერც შერკინების ხაზის მოთამაშეებს მოუხერხა რამე და ვერც ნახევარმცველებსა და მცველებს. ორივე გუნდი არცთუ იშვიათად იუფლებოდა აუტიდან მეტოქის მიერ მოწოდებულ ბურთს, მაგრამ ხშირადაც კარგავდა მას, შერკინებასაც უმეტესად იგებდა თავისი შეგდებისას. მეტოქის განზრახვის ჩაშლას და მისი შეცდომების გამოყენებას თბილისელი მორკინალები უკეთესად ახერხებდნენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან 1982 წლიდან „ლოკომოტივის“ სათამაშო სტილი სწორედ ამგვარ ტაქტიკას ეფუძნება. გუნდი შესანიშნავად ერკვევა რეგბის ტაქტიკაში და მოუღლელი მორკინალების, „ცბიერი“ ნახევარმცველებისა და დისციპლინიანი სამმეოთხედელების მეშვეობით კარგადაც უმკლავდება მეტოქის გამუდმებულ იერიშებს.

„ლოკომოტივი“ „სლავასთან“ შეხვედრაშიც ნაცადი სტილის ერთგული დარჩა. თბილისელ მორკინალთა გაწაფულობამ „სლავა“ რამდენჯერმე აიძულა თამაშგარე მდგომარეობის წესი დაერღვია საკუთარ ნახევარზე. მოსკოველები უდავოდ შემთხვევას უნდა უმადლოდნენ იმას, რომ საჯარიმოების დამრტყმელმა ალეკო ხვედელიძემ ექვსი ცდიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა, ისიც თამაშის დასაწყისში და პირველად და უკანასკნელად დააწინაურა თავისი გუნდი. წარმატების შემდეგ გუნდს მალე მიუტევებელი შეცდომა მოუვიდა: მოსკოველები შერკინების მოგების შემდეგ ოდნავ შემობრუნდნენ და მესამე ხაზით მოკლე ფრთიდან შეუტიეს; აქ კი ვერც ჩვენმა მესამე ხაზმა ივარგა, ვერც მარჯვენა ფრთის სამმეოთხედელმა და ფედორკოვმაც ბურთი დაამიწა.

„ლოკომოტივს“ შეეძლო თამაშის მსვლელობის მკვეთრად შეცვლა თუნდაც ერთი საჯარიმოს შეგდებით, მაგრამ კარს აცდენილი საჯარიმოები ჯერ დაწინაურების საშუალებას არ აძლევდა, მერე — ვერც ანგარიშში სხვაობის შემცირებისას; საქმე იქამდე მივიდა, რომ „ლოკომოტივმა“ და მაყურებლებმაც მარცხის გარდუვალობა ირწმუნეს. და აი, ამ დროს, როცა მეტოქე სულ ოთხი ქულით იყო წინ, ჩვენმა გუნდმა ხელსაყრელი პოზიციიდან კარში დარტყმის ნაცვლად საჯარიმო გაათამაშა და თან ისე ულიმლამოდ, რომ გულშემატკივრებს მწარე ღიმილი მოჰგვარა.

ამ წაგებით „ლოკომოტივმა“ კარგი გაკვეთილი მიიღო. რეგბიში ვერაფერს გახდები, თუ მხოლოდ „ანგრიე“ და არ „აშენე“, თუ მხოლოდ მეტოქეს შეუშალე ხელი და თავად არ შეუტიე.

სხვა მხრივ, თუ შერკინების პირველი ხაზის მოთამაშეთა გამოუცდელობას არ ჩავთვლით, „ლოკომოტივს“ ქედი არავის წინაშე არა აქვს მოსახრელი. გუნდის მესამე ხაზის მოთამაშეებსა და ნახევარმცველთა წყვილს — ჭეიშვილი (10) — გაბრიჭიძე (9) — ბევრი გუნდი ინატრებდა. ამიტომ ქომაგებმა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „სლავასთან“ წაგება ჩვენი ბიჭებისთვის შეიძლება ერთგვარი სტიმულიც კი გამოდგეს.

ზაალ გიგინეიშვილი.

• • •

თბილისის ტურის პირველი დღის კიდევ ერთი მატჩი კრასნოიარსკის „ექსკავატორტიაჟსტროისა“ და ლენინგრადის „პრიმორეცს“ შორის დამთავრდა ფრედ — 6:6.

ყაზახეთის ქალაქ კენტაუში ამ ლიგის მეორე ექვსეულმა ერთი დღით ადრე დაიწყო ასპარეზობა. მათი შეხვედრები ასე დამთავრდა: სსა — ტირასპოლის „ელექტრომაში“ — 15:3 (4:0), მოსკოვის „ლოკომოტივი“ — მოსკოვის „ფილი“ — 16:7 (0:7), ალმა-ათის ასკ — კიევის „ავიატორი“ — 21:16 (12:9).

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი თბილისის „დინამოსა" და დონეცკის „შახტიორს" შორის.

თამაში დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0. გოლი შესვენების შემდეგ გაიტანა გურულმა.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბალაძე, ჩიხრაძე, ლაცაბიძე, კუბელაშვილი, არზიანი, ფირცხალავა, სვანაძე, ჯოხაძე, გურული (კულიაშვილი), ჩალიგავა, მიქაბერიძე (ფანცულაია).

I ᲚᲘᲒᲐ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ I ლიგის ფეხბურთელთა 1986 წლის საკავშირო გათამაშება. პირველი მატჩი 27 მარტს შედგა კიშინიოვში. ადგილობრივმა „ნისტრუმ" მარცხი განიცადა რიგის „დაუგავასთან" შეხვედრაში — 1:2.

ᲛᲐᲢᲩᲘ ᲑᲐᲥᲝᲨᲘ

ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ ოთხშაბათს ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში, სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა მიიღო რუმინეთის ოლიმპიური გუნდი.

მატჩი საინტერესოდ ჩატარდა, პირველ წარმატებას მე-13 წუთზე მიაღწიეს მასპინძლებმა (იარემჩუკი), 20 წუთის შემდეგ კი საპასუხო გოლი გაიტანა აუგუსტინმა — 1:1.

სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში თამაშობდნენ: ჩანოვი, ბაშკიროვი (იანუშევსკი), პანჩიკი, პუჩკოვი, ე. კუზნეცოვი, რაცი, იაკოვენკო, იარემჩუკი, პასულკო (ახმედოვი), გურინოვიჩი (მოროზოვი), ვ. კუზნეცოვი.

* * *

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲢᲩᲘ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲐᲒᲔᲑᲐ

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 26 მარტი. 62 ათასი მაყურებელი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ (ნაკრები) — ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ (ნაკრები) 0:1 (0:0).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ: დასაევი, ბესონოვი (ლიტოვჩენკო, 57), ჩივაძე, დემიანენკო, ბუბნოვი, კუზნეცოვი, გოცმანოვი, ზავაროვი (დობროვოლსკი, 75), ალეინიკოვი, კონდრატიევი, როდიონოვი (ბლოხინი, 57).

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ: შილტონი, ანდერსონი, სენსომი, ჰოდლი, რაიტი, ბუჩერი, კოუნზი (ჰოჯი, 58), უილკინსი, ბირძლი, ლინეკერი, უოდლი (სტივენსი, 75).

მსაჯი: ვ. ცონჩევი (ბულგარეთი).

გოლი გაიტანა უოდლიმ (67).

გააფრთხილეს ბუბნოვი.

18 მატჩი, 18 მოგება, ბურთების სხვაობა — 43:0! ინგლისელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ბობი რობსონი აღფრთოვანებული იყო საბჭოთა ნაკრების გამარჯვებათა ამ სერიით, მაგრამ მისი ფეხბურთელებისთვის ეს უფრო დამატებითი სტიმული იყო. „შევეცდებით, შევწყვიტოთ მეტოქის დაუმარცხებელი სერია საკუთარ მოედანზე", — ეს სიტყვები რობსონს საჯაროდ ალბათ, მხოლოდ ინგლისური თავდაჭერილობისა და ტაქტის გამო არ უთქვამს.

მასპინძლებისთვის არანაკლებ ძლიერი სტიმული უნდა ყოფილიყო ხსენებული სერიის გაგრძელების სურვილი, თუმცა რა დამატებით სტიმულზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მეტოქედ ფეხბურთის სამშობლოს, ინგლისის ეროვნული გუნდი გყავს. ეს, რაც შეეხება მხარეთა განწყობას, საანგარიშო მატჩის უპირველესი მიზანი კი გახლდათ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირისთვის მზადყოფნის შემოწმება, რაც გუნდების ხელმძღვანელებმაც არაერთხელ აღნიშნეს. ედუარდ მალოფეევი (თავისი ინგლისელი კოლეგისგან განსხვავებით) იმასაც დაგვპირდა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო, მაგრამ...

არა, ფეხბურთელებს ინდიფერენტულობას ვერ დავწამებთ, მათ ალბათ მართლაც სწყუროდათ მოგება, მაგრამ თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ სრულიად ნათელი გახდა — სურვილი კი აქვთ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაღწიონ წარმატებას. დიახ, ეს სერიოზული ბრალდებაა ნებისმიერი გუნდისთვის, მით უფრო — ნაკრები კოლექტივისთვის, რომელსაც ორი თვის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში მოუწევს თამაში, მაგრამ სიმართლის დამალვას ვისთვის მოუტანია სიკეთე? ამიტომ ვიტყვი: ამ შეხვედრაში არ ჩანდა გეგმა, სტრატეგიული ნახაზი, ურომლისოდაც შეუძლებელია თუნდაც საშუალო ძალის მეტოქის დამარცხება.

მოხდა ისე, რომ პირველი შესანიშნავი საგოლე მომენტი სტუმართა კართან შეიქმნა, თუ, რა თქმა უნდა, ასპროცენტიანად მივიჩნევთ 11-მეტრიან დარტყმას. მსაჯმა პენალტი დანიშნა გოცმანოვთან ანდერსონის უხეშად თამაშისთვის, თუმცა მანამდე ასევე შეეძლო დაესაჯა დასაევიც, რომელმაც საკუთარ საჯარიმო მოედანზე წააქცია ლინეკერი. ასეა თუ ისე, მე-16 წუთზე ჩივაძეს საშუალება მიეცა გუნდი დაეწინაურებინა, მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმა მარჯვენა ძელმა მოიგერია. მიუხედავად ამისა, გავბედავ და ვიტყვი, რომ მასპინძელთა გუნდში ჩივაძე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, იგი ცდილობდა მოეწესრიგებინა ცალკეული რგოლების ურთიერთმოქმედება (განსაკუთრებით მაშინ, როცა დაინახა, რომ ეს არ შეეძლოთ მათ, ვისი უპირველესი მოვალეობაც მოთამაშეთა შორის ურთიერთკავშირის დამყარებაა) და ცალკეულ ეპიზოდებში წარმატებითაც გაართვა თავი ამ ამოცანას.

მე-16 წუთამდე სტუმრებს რამდენიმეჯერ შეეძლოთ წარმატებისთვის მიეღწიათ, თუმცა აშკარა საგოლე მომენტები არა ჰქონიათ. მე-20-დან 29-ე წუთამდე მასპინძლებმა სამი ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რითაც, როგორც ჩანს, ამოწურეს კიდეც თავიანთი შესაძლებლობები. ჯერ ბუჩერმა იმარჯვა — კუთხურზე მოიგერია ბურთი, შემდეგ კუზნეცოვმა ხელსაყრელი პოზიციიდან ააცდინა მიზანს, მერე კონდრატიევმა ითამაშა არაზუსტად. მასპინძელთა თავდამსხმელებს საქმეს ისიც ურთულებდა, რომ ინგლისის ნაკრების ტანმაღალი, ფიზიკურად მეტად ძლიერი ცენტრალური მცველები ბუჩერი და რაიტი ორთაბრძოლებში თითქმის ყოველთვის იმარჯვებდნენ (მიწაზე იქნებოდა თუ ჰაერში). თუმცა მეორე ტაიმში მასპინძლებს შეეძლოთ ბურთის გატანა: 58-ე წუთზე ბლოხინმა და ლიტოვჩენკომ (ეს ფეხბურთელები ერთი წუთით ადრე გამოვიდნენ მინდორზე) გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც, შილტონი რომ არა, გოლით დამთავრდებოდა.

გოლი, რომელიც ინგლისელებმა 67-ე წუთზე გაიტანეს, ღირს იმად, რომ საგანგებოდ აღწეროს კაცმა. უოდლმა მინდვრის სიღრმიდან მარჯვენა ფლანგზე გაგზავნა ბურთი, რომლისკენაც ბირდსლი და ბუბნოვი გაიქცნენ. თავდამსხმელი უაღრესად ტექნიკურად, ნახტომში დაიუფლა ბურთს და ზუსტი პასით დაუბრუნა იგი უოდლს, რომელიც ამასობაში საჯარიმოს ხაზს მიუახლოვდა. მისი დარტყმა (ისევე, როგორც მთელი კომბინაცია) უნაკლო იყო — 1:0. ამ მომენტმა გაგვახსენა პირველ ტაიმში მომხდარი ერთი ეპიზოდი, როცა თვით უოდლმა ასევე ეფექტურად, ნახტომში გააჩერა აუტში მიმავალი ბურთი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფიზიკურად ძლიერი ინგლისელი ფეხბურთელები მეტად კორექტულად თამაშობდნენ, სუფთად ასრულებდნენ ისეთ „სახიფათო" ელემენტს, როგორიცაა ფეხებში ვარდნა, რასაც საბჭოთა მცველებზე (განსაკუთრებით, ბუბნოვზე) ვერ ვიტყვით. რისი ბრალია ეს? უსათუოდ არასაკმარისი ტექნიკის.

მატჩი ისე დამთავრდა, მასპინძლებს ოდნავი ხიფათიც აღარ შეუქმნიათ მეტოქის კართან, მინდორზე 19 წლის დობროვოლსკის გამოსვლა კი, ძნელი სათქმელია, რას ემსახურებოდა.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა წლეულს მესამე საერთაშორისო მატჩი ჩაატარა და მესამე მარცხი იწვნია. ამდენივე შეხვედრა გამართეს ინგლისელებმაც, მაგრამ მათ სამივე მატჩი მოიგეს. ვნახოთ, რა დასკვნებს გამოიტანენ აქედან გუნდების ხელმძღვანელები.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲘᲬᲧᲔᲑᲐ საქართველოს 1986 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, დღეს და ხვალ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში სტარტს აიღებს ეს მეტად საინტერესო, ყველაზე უფრო მასობრივი, ყველაზე ხანგრძლივი შეჯიბრება.

ფეხბურთი საქართველოში საყოველთაო სიყვარულით სარგებლობს, ყველგან — ქალაქად თუ სოფლად — დიდ ყურადღებას იჩენენ საფეხბურთო შეჯიბრებების მიმართ, პატარებისა თუ მოზრდილთა გუნდების შეხვედრებს მუდამ ხალხით ესწრებიან, დიდი და პატარა ყველა გატაცებით თამაშობს ფეხბურთს, ამდენად იგი ჩვენი საყოველთაო გულისყურით და მზრუნველობით უნდა იყოს მოცული. სწორედ ამ მასობრივ შეჯიბრებებში უნდა აღიზარდონ ის პერსპექტიული, კარგი მომავლის ფეხბურთელები, რომლებიც შემდგომში ღირსეულად შეცვლიან ტყავის ბურთის ჩვენს გამოჩენილ ოსტატებს.

წლევანდელ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, შემუშავებულია უახლოესი წლების პერსპექტიული გეგმა, ამასთან დაკავშირებით ფართო სპორტულ საზოგადოებრიობას ვთავაზობთ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის დებულებას.

დღეს იწყება საქართველოს 1986 წლის პირველობა ფეხბურთში. ეს ტრადიციული შეჯიბრება მთელი რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია, მარტის ბოლოდან მოყოლებული დეკემბრამდე რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, სოფლებისა და დაბების სტადიონებზე მიმდინარეობს საინტერესო შეჯიბრებები, ხალხს უყვარს ფეხბურთი, მასობრივად მოდის თამაშებზე, ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელების ძიების, მომავალ ოსტატთა გამოწრთობის პრობლემებით დაინტერესებულია ყველა, ქართულ ფეხბურთს, ოსტატთა გუნდებს ღირსეული ცვლა ესაჭიროება, მათ აღსაზრდელად კი დარაზმული უნდა იყოს ყველა, ვისაც კი ეს უშუალოდ ეხება.

ჩვენი ფეხბურთი ვითარდება, წინ მიდის, იგი გარკვეულ ცვლილებებს და საორგანიზაციო ხასიათის რეფორმებს მოითხოვს, რათა ყოველი ახალი შეჯიბრება უფრო საინტერესოდ და, რაც მთავარია, მეტი ეფექტით წარიმართოს. მაღალი კლასის ფეხბურთელები გვჭირდებოდა მუდამ, განსაკუთრებით კი ახლა, როცა რესპუბლიკას ჰყავს უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგის ოსტატთა მთელი რაზმი — 11 გუნდი.

საქართველოს პირველობაზე მონაწილე კოლექტივები წლეულს გაერთიანდნენ პირველ და მეორე ლიგებში, გარდა ამისა, ჩატარდება საქალაქო და სარაიონო, აგრეთვე ზონალური შეჯიბრებები.

პირველ ლიგაში მონაწილეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფების 26 გუნდი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ. 1. „შევარდენი" (თბილისი), 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), 3. „კახეთი" (თელავი), 4. „ივერია" (ხაშური), 5. „დურუჯი" (ყვარელი), 6. „მადნეული" (ბოლნისი), 7. „სინათლე" (თბილისი), 8. „არმაზი" (მცხეთა), 9. „სპარტაკი" (ცხინვალი), 10. „იმედი" (თბილისი), 11. „ქართლი" (გორის რაიონი), 12. ასკ (თბილისი), 13. „მეტალურგი" (ზესტაფონი).

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ. 1. „მერცხალი" (მახარაძე), 2. „შადრევანი-83" (წყალტუბო), 3. „სულორი" (ვანი), 4. „ეგრისი" (ცხაკაია), 5. „ამირანი" (ოჩამჩირე), 6. „იმერეთი" (ქუთაისი), 7. „დინამო" (ზუგდიდი), 8. „დინამო" (გაგრა), 9. „ბახმარო" (ჩოხატაური), 10. „სქური" (წალენჯიხა), 11. „სამეგრელო" (ჩხოროწყუ), 12. „საპოვნელა" (თერჯოლა), 13. „სალხინო" (გეგეჭკორი).

როგორც ხედავთ, რესპუბლიკური გათამაშების პირველ ლიგაში საგრძნობი ცვლილებებია. მახარაძის სპორტულმა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს II ლიგის საკავშირო გათამაშებაში მონაწილეობაზე, წლების მანძილზე აქ უმთავრესად მოწვეული ფეხბურთელები გამოდიოდნენ, ამიტომ მახარაძის „მერცხლის" ადგილი მეორე ლიგაში გადაეცა რუსთავის „მეტალურგს". მეტალურგთა ქალაქში ახლა საუკეთესო პირობებია შექმნილი ფეხბურთის განვითარებისთვის, რუსთავს პირველხარისხოვანი სტადიონი გააჩნია, აქ ნაყოფიერად მუშაობენ ბავშვთა სპორტსკოლები, ვფიქრობთ, რუსთავის ფეხბურთელთა კოლექტივი გაამართლებს რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობის იმედს.

გარდა ამისა, შეიქმნა თბილისის არმიელთა ახალი კოლექტივიც, რომელიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის პირველი ლიგის გათამაშებაში. თბილისის არმიელ ფეხბურთელთა წარსული წლების დამსახურება და ღირსებები ყველამ კარგად ვიცით, ეს გუნდი წარმატებით ასპარეზობდა საკავშირო სარბიელზე, აქ მრავალი ცნობილი ოსტატი აღიზარდა, ამიტომ ძველი ტრადიციების აღდგენამ, ვფიქრობთ, სარგებლობა უნდა მოუტანოს ჩვენ ფეხბურთს.

რესპუბლიკური გათამაშების მეორე ლიგაში შექმნილია 3 ზონა.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ. 1. „ჰერეთი" (ლაგოდეხი), 2. „არაგვი" (დუშეთი), 3. „ბახტრიონი" (ახმეტა), 4. „ალაზანი" (გურჯაანი), 5. „ალგეთი" (მარნეული), 6. „იმედი" (რუსთავი), 7. „კოლმეურნე" (მარნეული), 8. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი), 9. „თრიალეთი" (წალკა), 10. „გარეჯი" (საგარეჯო), 11. „სამგორი" (გარდაბანი), 12. „გარისი" (თეთრი წყარო), 13. „აკრიანი" (მარტყოფი), 14. „სიონი" (დმანისი), 15. „მუხრანი" (მცხეთის რაიონი), 16. „შირაქი" (წითელი წყარო), 17. „განთიადი" (კასპი).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲝᲜᲐ. 1. „მადაროელი" (ჭიათურა), 2. „საირმე" (მაიაკოვსკი), 3. „იმერეთი" (წულუკიძე), 4. „ჩიხურა" (საჩხერე), 5. „ვარძია" (ასპინძა), 6. „მშენებელი" (ჭიათურა), 7. „ზარზმა" (ადიგენი), 8. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი), 9. „თორი" (ბორჯომი), 10. „კოლმეურნე" (ტყიბული), 11. „იბერია" (ქარელი), 12. „მესხეთი" (ახალციხე), 13. „დილა" (წულუკიძე), 14. „აბული" (ახალქალაქი), 15. „რაჭა" (ამბროლაური), 16. „ხვამლი" (ცაგერი), 17. „დმანისი" (ცხინვალის რაიონი).

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲖᲝᲜᲐ. 1. „კოლხეთი" (ხობი), 2. „მზიური" (გალი), 3. „ნარინჯი" (ნატანები), 4. „ნარინჯი" (ქობულეთი), 5. „ჩიბათი" (ლანჩხუთი), 6. „ნარინჯი" (გონიო), 7. „კოლხეთმშენი" (ფოთი), 8. „ზანა" (აბაშა), 9. „მეშახტე" (ტყვარჩელი), 10. „სუბტროპიკი" (სოხუმი), 11. „ნაპერწკალი" (ოჩამჩირე), 12. „ოდიში" (ზუგდიდის რაიონი), 13. „დვაბზუ" (მახარაძე), 14. „დინამო-II" (ბათუმი), 15. „ალიონი" (გალი).

ზონაში გამარჯვებული გუნდები შემდგომ წელს გადაინაცვლებენ საქართველოს პირველობის II ლიგაში.

გათამაშების მატჩები უნდა შედგეს კალენდრით დამტკიცებულ ვადებსა და დღეებში, შეხვედრათა დღეების შეცვლა კატეგორიულად აკრძალულია.

ამ ორი ლიგის გათამაშებათა გარდა ყველგან ჩატარდება სარაიონო-საქალაქო პირველობები. საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში (მესტიის, ლენტეხისა და ყაზბეგის მაღალმთიანი რაიონების გარდა) აუცილებლად უნდა ჩატარდეს რეგიონალური პირველობები წრიული სისტემით, რათა ადგილებზე თამაშები მიმდინარეობდეს მთელი სეზონის მანძილზე.

რესპუბლიკის საფეხბურთო ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზონალურ გათამაშებას, რომელიც მასობრივი ფეხბურთის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. სულ შექმნილია 9 ზონა.

I ᲖᲝᲜᲐ (აჭარის ასსრ). ქ. ბათუმი, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოს რაიონები.

II ᲖᲝᲜᲐ (აფხაზეთის ასსრ). ქ. ქ. სოხუმი, ტყვარჩელი, გაგრა; გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გუდაუთის რაიონები.

III ᲖᲝᲜᲐ (სამტრედია). ქ. ქ. ზუგდიდი, ფოთი; აბაშის, ხობის, ცხაკაიას, ზუგდიდის, გეგეჭკორის, სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, ჩოხატაურის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ვანის რაიონები.

IV ᲖᲝᲜᲐ (ქუთაისი). ქ. ქ. ქუთაისი, ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო; ამბროლაურის, ცაგერის, საჩხერის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, ორჯონიკიძის, წულუკიძის, ონის რაიონები.

V ᲖᲝᲜᲐ (გორი). ქ. გორი; მცხეთის, კასპის, ქარელის, ბორჯომის, ხაშურის, დუშეთის, გორის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოგდანოვკის რაიონები.

VI ᲖᲝᲜᲐ (სამხრეთ ოსეთის აო). ქ. ცხინვალი; ჯავის, ზნაურის, ლენინგორის, ცხინვალის რაიონები.

VII ᲖᲝᲜᲐ (თბილისი). კალინინის, კიროვის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, გლდანის, ლენინის, პირველი მაისის, ოქტომბრის, 26 კომისრისა და საქარხნო რაიონების გუნდები.

VIII ᲖᲝᲜᲐ (რუსთავი). ქ. ქ. რუსთავი, მარნეული; გარდაბნის, დმანისის, წალკის, ბოლნისის, მარნეულისა და თეთრი წყაროს რაიონები.

IX ᲖᲝᲜᲐ (თელავი). თელავის, ახმეტის, გურჯაანის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, თიანეთის, წითელი წყაროს, ყვარლისა და სიღნაღის რაიონები.

რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის ფედერაცია სპეციალურად გამოყოფილი კომისიების აქტებით მიიღებენ ყველა იმ სტადიონს, სადაც პირველი და მეორე ლიგების, აგრეთვე, ზონალურ გათამაშებათა მატჩები უნდა გაიმართოს და თუ რომელიმე სათამაშო მინდორი არ შეესაბამება ფეხბურთის წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, იმ რეგიონის გუნდი გათამაშებაში არ დაიშვება. თითოეულ სპორტულ ბაზას, სადაც ეს შეჯიბრებები ტარდება, უნდა ჰქონდეს სტადიონისა და სათამაშო მინდვრის მიღების სპეციალური აქტი.

საქართველოს საფეხბურთო პირველობა ერთიანი შეჯიბრებაა, რომელშიც შედის რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების პირველობები, ზონალური გათამაშებები, საქართველოს I ლიგის ჩემპიონატი, რესპუბლიკური პირველობა II ლიგის გუნდებს შორის.

ყოველი კალენდარული მატჩი გაიმართება მხოლოდ უქმე და სადღესასწაულო დღეებში. ერთი რომელიმე რაიონის ან ქალაქის გუნდების ერთმანეთთან შეხვედრა დასაშვებია ნებისმიერ დღეებში, ოღონდ სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ.

ᲘᲮ. ᲛᲔ-4 ᲒᲕ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ 1986 ᲬᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

აკრძალულია ერთი გუნდის მონაწილეობა ერთდროულად ორ რომელიმე გათამაშებაში (რაიონულ, საქალაქო, ზონალურ თუ საქართველოს პირველობაზე), აკრძალულია ფეხბურთელის ერთდროულად მონაწილეობაც ორ გუნდში. გამონაკლისს აქ წარმოადგენენ მხოლოდ რესპუბლიკის ნაკრები გუნდები.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილე ყოველი გუნდის განაცხადთან ერთად, თითოეული რაიონისა და ქალაქის ფეხბურთის ფედერაციიდან აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი სამი მსაჯი და ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის წარმომადგენლები, რომელთა გარეშე გუნდის განაცხადი არ დამტკიცდება.

წლევანდელი რესპუბლიკური შეჯიბრებები, როგორც ვთქვით, შარშანდელისგან განსხვავებული სისტემით ჩატარდება, ამიტომ, შევეცდებით, ფეხბურთის მოყვარულებს, ფართო სპორტულ საზოგადოებრიობას შეძლებისდაგვარად დეტალურად გავაცნოთ სიახლეები და დებულების პუნქტების თავისებურებანი.

საქართველოს პირველობა I და II ლიგების გუნდებს შორის ჩატარდება შემდეგნაირად:

1986 წლის რესპუბლიკური ჩემპიონატი პირველი ლიგის გუნდებს შორის ორ ეტაპად გაიმართება აღმოსავლეთ და დასავლეთ ჯგუფებში. ორივე ჯგუფში პირველ 6-6 ადგილებზე გასული გუნდები შეჯიბრების მეორე ეტაპზე შექმნიან პირველ ფინალურ ჯგუფს, სადაც გაირკვევა პირველი-მეთორმეტე ადგილები. მეორე ეტაპზე გუნდები შედიან მხოლოდ იმ ქულებით, რომლებიც მათ დააგროვეს ერთმანეთთან შეხვედრებში, ე. ი. სხვა გუნდებთან ნაჩვენები შედეგები მეორე ეტაპზე მათ არ ეთვლებათ. პირველ ფინალურ ჯგუფში გამარჯვებულ გუნდს მიენიჭება საქართველოს 1986 წლის ჩემპიონის წოდება.

I ლიგის ორივე ჯგუფში მეშვიდე და მომდევნო ადგილებზე გასული გუნდები მეორე ფინალურ ჯგუფს ქმნიან, სადაც ანალოგიური წესით გაითამაშებენ ჩემპიონატის შემდგომ ადგილებს.

მეორე ეტაპზე გუნდები ხვდებიან მხოლოდ სხვა, პარალელური ჯგუფის წარმომადგენლებს.

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის ბოლო 4 ადგილზე გასული გუნდები 1987 წლიდან გადაინაცვლებენ მეორე ლიგაში.

გათამაშების ეს ახალი სისტემა მიზნად ისახავს 1987 წელს საქართველოს პირველობის ერთი მთლიანი პირველი ლიგის შექმნას. მასში მონაწილეობას მიიღებენ 1986 წლის პირველი ლიგის გათამაშებაში პირველ-ოცდამეერთე ადგილებზე გასული გუნდები, მათ დაემატება 1986 წელს მეორე ლიგის რესპუბლიკური გათამაშების ფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი. ესე იგი, 1987 წელს საქართველოს პირველობაზე სულ 22 გუნდი გამოვა, ზონები აღარ იქნება.

შემდგომ, 1987 წელს, საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდები დატოვებენ ლიგას და მეორე ლიგაში გადაინაცვლებენ, რის შედეგადაც 1988 წლის საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს 20 გუნდი: წინა წლის გათამაშებაში I-XIX ადგილებზე გასულნი და II ლიგის გათამაშების ფინალურ გათამაშებაში გამარჯვებული.

1988 წლის რესპუბლიკურ ჩემპიონატში პირველ ლიგას დატოვებენ ბოლო 3 ადგილზე გასული გუნდები (ისინი II ლიგაში გადაინაცვლებენ), მათს ადგილს კი დაიკავებს II ლიგის ფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი და 1989 წლიდან მოყოლებული საქართველოს ჩემპიონატში (I ლიგა) მონაწილეობას მიიღებს 18 გუნდი.

თუ I ლიგაში პირველი ადგილისთვის მებრძოლი ორი ან რამდენიმე გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს, მათ შორის ჩემპიონის გამოსავლენად ქ. თბილისში დაინიშნება დამატებითი მატჩი, ან ტურნირი ფიფა-ს წესების შესაბამისად.

რაც შეეხება მომდევნო ადგილებს, აქ უპირატესობა მიენიჭება იმ გუნდს; რომელსაც ექნება, პირველ რიგში, მოგებათა მეტი რაოდენობა, შემდეგ — ერთმანეთთან ჩატარებულ შეხვედრებში მოპოვებული უკეთესი შედეგები (ჯერ ქულები და თუ ეს თანაბარია — ბურთების უკეთესი სხვაობა), შემდეგ — დისციპლინარულ დარღვევათა ნაკლები რაოდენობა, დაბოლოს კი — მთელს ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა.

II ლიგის აღმოსავლეთ, ცენტრალურ და დასავლეთ ზონებში პირველ ადგილებზე გასული გუნდები თბილისში ატარებენ ტურნირს წრიული სისტემით და გამარჯვებული პირველ ლიგაში გადადის.

საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდების შემადგენლობაში სათამაშოდ დაიშვებიან მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც ბოლო სამი წლის მანძილზე მუდმივად არიან ჩაწერილი ამა თუ იმ ქალაქსა და რაიონში და სამხედრო აღრიცხვაზეც იმყოფებიან. უფრო კონკრეტულად — 1986 წლის გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელი თავის რაიონში ან ქალაქში 1983 წლიდან უნდა იყოს ჩაწერილი. საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულთ უფლება აქვთ რესპუბლიკურ პირველობაზე მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ იმ რაიონის ან ქალაქის გუნდებში, საიდანაც ისინი გაწვეული იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში. საქართველოს პირველობაზე თამაშის უფლება არა აქვთ მათ (მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო გუნდები), ვინც იმ დროისთვის სავალდებულო სამსახურს გადის. გარდა ამისა, საქართველოს პირველობაზე მონაწილეობის უფლება არ მიეცემათ საშუალო პროფტექნიკური და ერთწლიანი პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, რომლებიც არ არიან ამა თუ იმ რაიონის ან ქალაქის მკვიდრნი.

დამატებითი განაცხადის წარდგენის უფლება გუნდებს აქვთ 1 სექტემბრამდე (გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი), ამავე ვადაში ნებადართულია განაცხადში 10 მოთამაშის შეცვლა ახალი ფეხბურთელებით (განაცხადიდან გამოყვანილი ფეხბურთელის ხელმეორედ განაცხადში შეყვანა ახლად გაფორმებულ ფეხბურთელად ითვლება).

საქართველოს ჩემპიონატის I და II ლიგებში სათამაშოდ დაიშვებიან ფეხბურთელები, რომლებსაც 16 წელი შეუსრულდათ, მაგრამ საამისოდ მათ უნდა ჰქონდეთ რესპუბლიკური სამედიცინო დისპანსერის სპეციალური ნებართვა.

რესპუბლიკის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის განაცხადში შეყვანილ ფეხბურთელებს კატეგორიულად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ეკრძალებათ თამაში საქართველოს პირველობაზე, მაგრამ ოსტატთა გუნდიდან განთავისუფლებულ ფეხბურთელს შეუძლია დაუბრუნდეს იმ გუნდს, სადაც იგი საქართველოს პირველობაზე თამაშობდა.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, ტექნიკუმების ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც მიმდინარე წელს დაამთავრეს სასწავლებელი, უფლება აქვთ იმავე წელს ითამაშონ იმ ქალაქის ან რაიონის გუნდის შემადგენლობაში, სადაც განაწილებით იქნებიან მივლინებული. საამისოდ ფეხბურთის სამმართველოში უნდა წარდგენილ იქნას განაწილების საგზურის ასლი და შესაბამისი ორგანიზაციის ბრძანება განაწილებით მისი სამუშაოზე მიღების თაობაზე.

რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ჩარიცხულ ფეხბურთელებს უფლება აქვთ იმავე წელს იმ ქალაქის ან რაიონის გუნდის შემადგენლობაში ითამაშონ, სადაც ისინი სტაციონარულ სწავლებას გადიან. შესაბამისად ამისა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დასწრებული სწავლების სტუდენტებს უფლება არა აქვთ საქართველოს პირველობაზე ითამაშონ იმ რაიონის ან ქალაქის გუნდის შემადგენლობაში, საიდანაც ისინი სასწავლებლად წავიდნენ.

საქართველოს პირველობის ყოველი კალენდარული მატჩის ოქმში მწვრთნელს უფლება აქვს ჩაწეროს 16 ფეხბურთელი, თითოეულ მოთამაშეს ოქმში შეტანილი რიგის შესაბამისად უნდა ეწეროს ნომერი მაისურზე. ყოველი გუნდი თამაშზე გამოდის თანამიმდევრული ნუმერაციით 1-დან 11-ის ჩათვლით.

წლევანდელ სეზონში საგანგებო, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წესრიგის დაცვას და დისციპლინის განმტკიცებას. რესპუბლიკის ჩემპიონატის ყოველი მონაწილე, იქნება ეს ფეხბურთელი, მწვრთნელი, მსაჯი თუ გუნდის წარმომადგენელი, მკაცრად დაისჯება, თუკი შემჩნეულ იქნა რაიმე უწესრიგობაში, გარდა ამისა, ფეხბურთელთა საქციელზე პასუხს აგებენ უშუალოდ გუნდებისა და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

დისციპლინის დარღვევისთვის მინდვრიდან გაძევებული ფეხბურთელის საკითხი უნდა განიხილოს გუნდის საერთო კრებამ და ოქმი წარუდგინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომისიას, უამისოდ დამნაშავე ფეხბურთელი მორიგ თამაშებზე არ დაიშვება.

დისკვალიფიცირებული ან განუცხადებელი მოთამაშის შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის გუნდს ყველა შემთხვევაში ჩაეთვლება წაგება, ხოლო გატანილი და მიღებული ბურთები ორივე გუნდისთვის უქმდება.

მსაჯის მიერ ორჯერ გაფრთხილებული ფეხბურთელი ავტომატურად გამოტოვებს პირველივე მომდევნო თამაშს, შემდგომ, მესამე გაფრთხილებისათვის — 3 თამაშს, მეოთხე გაფრთხილებისთვის — 5 თამაშს, მაგრამ თუ ფეხბურთელმა მეხუთე გაფრთხილებაც მიიღო, მას ერთი წლით ეკრძალება თამაში.

მინდვრიდან ორჯერ გაძევებული ფეხბურთელი დაისჯება ერთი წლის დისკვალიფიკაციით.

ფეხბურთელი, რომელსაც მინდვრიდან გააძევებენ და ამის შემდეგაც გააფრთხილებენ, დისკვალიფიკაციას მიიღებს 3 თამაშით, მეორედ გაფრთხილებისას — 5 თამაშით. შემდგომი, მესამე გაფრთხილებისთვის მას დისკვალიფიკაცია ელის ერთი წლით.

მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული ფეხბურთელის უღირსი და არასპორტული საქციელისთვის. თუ მოთამაშემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, მას საერთოდ აეკრძალება ფეხბურთის თამაში ოფიციალურ შეჯიბრებებში, ხოლო თუ ამგვარ საქციელს მხოლოდ მცდელობის ხასიათი ექნება, ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მიეცემა ერთი წლით.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისა ან ძალადატანებისთვის ფეხბურთელისთვის გათვალისწინებულია 10-15 თამაშით დისკვალიფიკაცია, მსაჯთან სისტემატური კამათისთვის — 4-10 თამაშით. ფეხბურთელთა ორმხრივი ჩხუბისთვის დისკვალიფიკაცია განისაზღვრება 5-10 თამაშით. ასევე მკაცრი სასჯელებია გათვალისწინებული უხეშობისთვის, შეურაცხმყოფელი ან არამეგობრული დამოკიდებულებისთვის თანაგუნდელთან თუ მეტოქესთან, 9-მეტრიანი მანძილის სისტემატური დარღვევის, სიმულაციის, ბურთის განზრახ გადაგდებისთვის და ა. შ.

თუკი იმ სტადიონზე, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობს, ორგანიზატორებმა არ დაიცვეს წესრიგი და თამაში ჩაიშალა, ინციდენტი უნდა გახდეს ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების, საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციის მკაცრი მსჯელობის საგანი. ასეთ შემთხვევებში სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია, მასპინძელ გუნდს ჩაეთვლება წაგება.

გუნდს, რომელიც თვითნებურად დატოვებს მინდორს თამაშის დამთავრებამდე, წაგება ჩაეთვლება, მომავალ სეზონში იგი უფრო დაბალ ჯგუფში გადაინაცვლებს, ხოლო ხელმძღვანელობისა და მოთამაშეთა საკითხი განიხილება ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისიის სხდომაზე.

არის შემთხვევები, როდესაც გუნდის ხელმძღვანელები, მწვრთნელები უტაქტობას იჩენენ მსაჯების ან სპორტულ მეტოქეთა მიმართ, აქეზებენ მაყურებლებს და ა. შ. ასეთ შემთხვევებში მათ მიმართ მკაცრ სანქციებს მიმართავენ.

თუ გუნდი არ გამოცხადდა კალენდარულ შეხვედრაზე, გამოუცხადებლობის მიზეზს განიხილავს ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია, მაგრამ თუ ამგვარი ამბავი გამეორდა, კოლექტივი მოიხსნება გათამაშებიდან და სამერმისოდ ვეღარ ითამაშებს იმავე ლიგაში.

საქართველოს ჩემპიონატის დებულებაში საგანგებო პუნქტადაა შეტანილი არასპორტული გზით, წინასწარი გარიგებით თამაშების დამთავრების საკითხი. ყველამ ვიცით: ბრძოლა უნდა იყოს პატიოსანი, შეუპოვარი, უშეღავათო და თუ საბჭოთა სპორტის ეს უმთავრესი პრინციპები დაირღვა, დამნაშავეთა მიმართ უმკაცრეს ზომებს მიიღებენ.

საყურადღებოა ისიც, რომ ყოველი მოთამაშის უდისციპლინობისთვის მის გუნდს საჯარიმო ქულები დაერიცხება. ფეხბურთელის ყოველი გაფრთხილებისთვის გუნდს ეწერება ერთი საჯარიმო ქულა, მინდვრიდან გაძევებისთვის — 5 საჯარიმო ქულა, იმ შემთხვევაში კი, თუ ფეხბურთელს საერთოდ აეკრძალა ოფიციალურ შეხვედრებში მონაწილეობა, მის გუნდს 10 საჯარიმო ქულა დაერიცხება. ეს სასჯელი ვრცელდება პირველი და მეორე ლიგების, ზონალური გათამაშებების, აგრეთვე, სარაიონო და საქალაქო პირველობებში მონაწილე გუნდებზე.

იშვიათი არაა, როცა გუნდები ასაჩივრებენ ხოლმე ჩატარებული თამაშის შედეგს. საჩივარი განსახილველად არ მიიღება, თუ იგი შეტანილია საჯარიმო ან 11-მეტრიანების, „თამაშგარე მდგომარეობის“, ან გატანილი ბურთის განსაზღვრისთვის. თუ გუნდს სურს გააპროტესტოს მატჩი, მან თამაშის დამთავრებისთანავე უნდა აცნობოს ამის შესახებ მსაჯს, აგრეთვე, მეტოქე გუნდის წარმომადგენელს და პროტესტის შეტანის თაობაზე საგანგებო აღნიშვნა გააკეთოს თამაშის ოქმში. პროტესტს ხელს აწერენ გუნდის მწვრთნელი ან ოფიციალური წარმომადგენელი, ფეხბურთის პროპაგანდის რესპუბლიკური საბჭოს ადგილობრივი წარმომადგენელი, საჩივარი ორი დღის განმავლობაში უნდა იქნას წარდგენილი ფედერაციაში, დაგვიანების შემთხვევაში იგი განსახილველად არ მიიღება. მატჩის მსაჯი ვალდებულია დაუყოვნებლივ წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ბარათი ფეხბურთის სამმართველოში აღნიშნული შეხვედრის შესახებ.

გუნდს, რომელიც რესპუბლიკური ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოიპოვებს გამარჯვებას, ენიჭება ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონის წოდება, იგი დაჯილდოვდება რესპუბლიკური სპორტკომიტეტის გარდამავალი თასით და პირველი ხარისხის დიპლომით. შესაბამისი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოვდებიან მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები, აგრეთვე, მწვრთნელები და ფეხბურთელები.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. მსოფლიო თასის მოგების შემდეგ სსრ კავშირის მოჭიდავეთა ნაკრებმა (თავისუფალი სტილი) აშშ-ის გუნდთან ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და კვლავ გაიმარჯვა — 7:3.

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ. იუნიორ რეგბისტთა ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ესპანეთის გუნდი დაამარცხა — 19:17. სხვა მეოთხედფინალურ შეხვედრებში, ფრანგებმა პოლონელები დაამარცხეს, რუმინელებმა — გფრ-ის წარმომადგენლებს აჯობეს. იტალიისა და ბელგიის გუნდების შეხვედრა იშვიათი შედეგით — 98:0 დამთავრდა.

ᲠᲘᲒᲐ. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის პირველ სუპერფინალურ მატჩში ნოვოსიბირსკის „დინამომ“ ადგილობრივი ტტტ დაამარცხა — 81:59 (41:24). საპასუხო შეხვედრა ნოვოსიბირსკში 29 მარტს შედგება.

ᲐᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ზუსტად ასი წლის წინათ, 1886 წლის 29 მარტს შეიტყო საჭადრაკო სამყარომ მსოფლიოს პირველი ოფიციალური ჩემპიონის სახელი. ვენელი მეწვრილმანე ვაჭრის იოზეფ სტეინიცის მე-13 შვილმა ვილჰელმ სტეინიცმა დაძაბულ პაექრობაში სძლია იოჰან ცუკერტორტს და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

სამი წელი გრძელდებოდა მოლაპარაკება ამ მატჩის ჩატარების თაობაზე. დაიწყო იგი 1883 წელს, ლონდონის დიდი საერთაშორისო ტურნირის შემდეგ. ტურნირში გამარჯვებული იოჰან ცუკერტორტი ვილჰელმ სტეინიცმა ოფიციალურ მატჩში გამოიწვია. მოლაპარაკება გაჭიანურდა. სტეინიცს მხოლოდ ლონდონში სურდა თამაში, ცუკერტორტს — ყველგან, გარდა ლონდონისა. ბოლოს, როცა ყველა სადაო საკითხი გაირკვა, 1886 წლის 11 იანვარს მეტოქეები დაფას მიუსხდნენ.

„მანჰეტენის საჭადრაკო კლუბის სპეციალურმა კომიტეტმა ორთაბრძოლის ყველა წვრილმანი გაითვალისწინა. დაიბეჭდა რამდენიმე ათასი ცალი პროგრამა. სვლებს, რომელთაც კედელზე დამაგრებულ დაფაზე კაპიტანი მექენზი აკეთებდა, დაუყოვნებლივ გადასცემდნენ არა მარტო ამერიკის სხვადასხვა საჭადრაკო კლუბს, არამედ ლონდონშიც“, — წერდა იმ დროის საჭადრაკო ჟურნალი „ინტერნეიშნლ ჩესს მეგეზინი“, რომელიც 1885-1891 წლებში სტეინიცის რედაქტორობით გამოდიოდა.

სტეინიცის მეტოქე იყო 44 წლის მოჭადრაკე, ცნობილი ექიმი და პოლიგლოტი — იგი თავისუფლად ფლობდა ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ესპანურ, იტალიურ, პოლონურ, რუსულ, ძველბერძნულ, არაბულ და ძველებრაულ ენებს.

მატჩი ამერიკის სამ ქალაქში გაიმართა: ნიუ-იორკში ცუკერტორტი დაწინაურდა +4—1=0; სანლუიში ანგარიში გათანაბრდა, ხოლო ნიუ-ორლეანში საბოლოოდ სტეინიცმა მოიგო (+10—5=5).

მატჩის შედეგმა საბედისწეროდ იმოქმედა პრეტენდენტის ფსიქიკაზე. ორი წლის შემდეგ ცუკერტორტი ლონდონში გარდაიცვალა.

განვლილ ას წელიწადში ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის 32 მატჩი გაიმართა, რის შედეგადაც მსოფლიოს მხოლოდ 13 ჩემპიონი მოევლინა. ბოლო ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი გარი კასპაროვი 22 წლის ასაკში გახდა უძლიერესი. განვლილმა საუკუნემ მთელი 28 წლით გააახალგაზრდავა საჭადრაკო ტახტის მფლობელი. სპეციალისტები თვლიან, რომ კასპაროვის ეს თავისებური რეკორდი ჩვენი საუკუნის ბოლომდე ძნელი მოსახსნელი იქნება.

ᲒᲘᲒᲚᲐ ᲒᲝᲑᲔᲩᲘᲐ.

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. **29 მარტი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (2)**; სტადიონი ყველასთვის — **11.55 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მინსკი) — **20.15 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ტანვარჯიშში — **24.00 (1)**.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. **29 მარტი.** საქართველოს საფეხბურთო პირველობა — **13.30**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) — **18.00**.

რედაქტორის მოადგილ
Თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫ

[illegible]: [illegible]. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხაზინადრის 29.

უე 0086